საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 27 აპრილის
დადგენილება № 439

ზოგადი ქიმიის სასწავლო კურსში
კომპიუტერული ტესტების შედგენის
შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

2011-2012 სასწავლო წელს ზოგადი ქიმიის სასწავლო კურსში ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტებისათვის შუასემესტრული ტესტირებებისა და დასკვნითი გამოცდების კომპიუტერული ტესტების შემუშავება-მომზადება ჩატარდეს შემდეგი წესით:

1. კომპიუტერული ტესტების შედგენაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებს ჩატარებული სამუშაო ჩაეთვალოთ აკადემიურ დატვირთვაში შემდეგი ოდენობით:

   600-საათიანი აკადემიური დატვირთვის პროფესორს –200სთ;

   300-საათიანი აკადემიური დატვირთვის პროფესორს –100 სთ.

2. კომპიუტერული ტესტების შედგენა დაევალოთ ქიმიური ტექნოლოგიების და მეტალურგიის ფაკულტეტის მიერ შერჩეულ პროფესორ-მასწავლებლებს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე